

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ენერგოეფექტურობის პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა

წინასიტყვაობა


ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი წარმოადგენს მაღალი სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებას. ჩვენი დევიზი - „შთაგონე ზრუნვა“ სრულად ასახავს უნივერსიტეტის დანიშნულებას ყველა მიმართულებით და ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ვაზიარებთ ხედვას, შთავაგონებთ ზრუნვას მდგრადი განვითარებისთვის.

შესავალი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ფორმირების პასუხისმგებლობას, მუდმივად ავითარებს ეკოკამპუსის კონცეფციას, ზრუნავს გარემოს დაცვაზე და საუნივერსიტეტო საზოგადოების ერთობლივი მოქმედებით ამცირებს ნახშირბადის ნაკვალევს. ამასთან, უნივერსიტეტი ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვით საკითხებზე, სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების განხორციელებით შეაქვს წვლილი ჯანსაღი გარემოს ფორმირებაში.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც ასახავს გაზიარებულ ხედვას უნივერსიტეტის ენერგოეფექტურობის პოლიტიკის შესახებ, ასევე განსაზღვრავს აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ენერგოეფექტურობის გაზრდას, გარემოზე ზეგავლენის შემცირებას და მდგრად განვითარებას.

დოკუმენტი ემსახურება ინფორმაციის საუნივერსიტეტო, ასევე ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებას, უნივერსიტეტის ეკო-კონცეფციის გავრცელებას და განმტკიცებას.



ნახშირბადის ემისიის შემცირებისა და ენერგოეფექტურობის პოლიტიკა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ზრუნავს მისი შენობების ენერგოეფექტურობაზე, აუმჯობესებს არსებულ ფიზიკურ გარემოს ენერგოეფექტურობის გაზრდის გზით, გეგმავს და ახორციელებს ახალ მშენებლობებს ენერგოეფექტურობის ეროვნული და საერთაშორისო ნორმების დაცვით.

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამშენებლო პროექტები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საქართველოს კანონის „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, პერიოდულად განახორციელოს შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, არ განახორციელოს ინვესტიციები მაღალი ნახშირბადის ინდუსტრიებში, ამასთან, შვილობილი კომპანიების თუ ახალი ინვესტიციების მეშვეობით, ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ფორმირებასა და ნახშირბადის ემისიის შემცირებას.

უნივერსიტეტი:

- შენობების გარე ფასადის თერმოიზოლაციით ამცირებს გათბობისა და გაგრილების ხარჯებს;
- იყენებს მზის წყლის გამაცხელებელ ტექნოლოგიას;
- ხელოვნური განათებისთვის იყენებს მხოლოდ ენერგოეფექტურ LED განათებებს, რაც ამცირებს ელექტროენერჯის მოხმარებას;
- უზრუნველყოფს ელექტროენერჯის მოხმარების შემცირებას დღის განმავლობაში ბუნებრივი განათების მოხმარებით, შენობები დაგეგმარებულია იმგვარად, რომ დღის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი განათების გამოყენება ოთახებში;
- ლედ სენსორული ავტომატური სანათების მონტაჟით შენობების ნაწილში, სადაც ხშირია სტუდენტების, პერსონალის თუ სხვა პირების გადაადგილება, ზოგავს ენერჯიას;
- მოიხმარს ენერგოეფექტურ მსუბუქ ავტომობილებს; უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მსუბუქი ავტომობილები არის ენერგოეფექტური - ელექტრო ან/და ჰიბრიდული; უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს მხოლოდ ენერგოეფექტური მსუბუქი ავტომობილების შეძენა;
- კამპუსის ტერიტორიაზე ათავსებს ელექტრომობილების დამტენ სადგურებს;
- გათბობისა და გაგრილების სისტემების, ასევე ელექტრომოწყობილობების შეძენისას უპირატესობას ანიჭებს ენერგოეფექტურ მოწყობილობებს;





- მგზავრობისას, მათ შორის, საერთაშორისო მგზავრობის/მივლინების დაგეგმვისას მხედველობაში იღებს სატრანსპორტო საშუალების ნახშირბადის ემისიას და შესაძლებლობის შემთხვევაში, უპირატესობას ანიჭებს ნაკლები ემისიის მქონე ტრანსპორტს (მაგ. მატარებელი);
- უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს გარემოში ნახშირბადის ემისიის შემცირებას და განახლებადი ენერჯის გამოყენებას, მათ შორის, მისი შვილობილი კომპანიების ძალისხმევით.

გარემოზე გავლენის შემცირების გეგმა 2022-2024

უნივერსიტეტი, გარემოზე მისი გავლენის შემცირებისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების გაზრდის მიზნით გეგმავს შემდეგ აქტივობებს:

1. მზის სისტემის პანელების მონტაჟი

- მზის სისტემის პანელების დამონტაჟება ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ტერიტორიაზე - 2022 წელი
 - ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების მაჩვენებელი
- მზის სისტემის პანელების დამონტაჟება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ეკო-კამპუსის ტერიტორიაზე ან/და უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიის ტერიტორიაზე - 2024 წელი
 - ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების მაჩვენებელი

2. განახლებადი ენერჯის გამოყენების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაზრდა

- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობით - ყოველწლიური
 - საუნივერსიტეტო და ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებული დონე
- განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელმისაწვდომობის გაზრდა ადგილობრივ საზოგადოებაში - 2024 წელი
 - ადგილობრივ საზოგადოებაში განახლებადი ენერჯის გამოყენების მაჩვენებლის გაზრდა; CO₂-ის შემცირებული ემისია

3. სერტიფიცირება, მონიტორინგი და განვითარება

- ენერგოეფექტურობის აუდიტი და სერტიფიცირება - 2023 წელი
 - ენერგოეფექტურობის სერტიფიკატი
- ენერგოეფექტურობის აუდიტის შედეგებზე დაფუძნებით, უნივერსიტეტის არსებული შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით განახლებული სამოქმედო გეგმის შემუშავება - 2024 წელი
 - განახლებული სამოქმედო გეგმა



4. არსებული მიდგომების შენარჩუნება და განვითარება (ყოველწლიური აქტივობები)

- მზის ტექნოლოგიით წყლის გათბობა
- ენერგოეფექტური განათების გამოყენება
- ელექტრომობილების დამტენი სადგურების დამატება
- შესყიდვებისას (ელექტრომოწყობილობები, გათბობისა და გაგრილების სისტემები, მსუბუქი ავტომობილები) ენერგოეფექტურობის კრიტერიუმის პრიორიტეტიზება.

იმპლემენტაცია, მონიტორინგი და განვითარება

უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია საკუთარი საქმიანობა განახორციელოს პოლიტიკის პრინციპების დაცვით, ამასთან, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ენერგოეფექტურობას.

პოლიტიკის პრინციპების დაცვასა და განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კანცლერი.

ყოველწლიური ანგარიში პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

დოკუმენტს ამტკიცებს და მასში ცვლილება შედის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით. ცვლილებების ინიცირება შესაძლებელია საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრების მიერ, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით.

SHARE VISION - INSPIRE TO CARE



NVU CAMPUS